მეწყერი ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში ხანგრძლივ და ძლიერ წვიმებს მოყვა გეოლოგიური პროცესების გააქტიურება შემდეგ სოფლებში: **ხიდისთავი, ბუკისციხე, დიდი ვანი, კოხნარი, საჭამიასერი, ნაბეღლავი, ამაღლება, ზომლეთი, ქვენობანი, ფარცხმა, ზომლეთი და ერკეთი.**

დილის 05:00 საათიდან მოსახლეობიდან 112-ზე შედის შეტყობინებები, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში (დანართი 12.1) გააქტიურდა მეწყრული პროცესები რამდენიმე უბანზე. რთული ვითარება არის დაბა ჩოხატაურის მიმდებარედ თბილისის ქუჩის და ჩოხატაურის წმიდა იოაკიმ და ანას სახელობის საკათედრო ტაძარს შორის საავტომობილო გზის მონაკვეთზე.

მოსახლეობიდან შემოდის შეტყობინებები, სოფლებში: ხიდისთავში, ბუკისციხეში, ფარცხმაში და ქვაბღა - ბახმაროს საავტომობილო გზის მონაკვეთებზე მეწყერის გააქტიურებაზე და მათ დაძვრაზე. ასევე ჩამოთვლილ სოფლებში შეინიშნება შენობების კედლების დაბზარვა და ნგრევის საშიშროება.

სტიქიის ზონაში მისულ სახახანძრო-სამაშველო ჯგუფების ეკიპაჟების ინფორმაციის თანახმად, დაზიანებულია დაბა ჩოხატაურის მიმდებარედ თბილისის ქუჩის და ჩოხატაურის წმიდა იოაკიმ და ანას სახელობის საკათედრო ტაძარს შორის საავტომობილო გზის მონაკვეთი. დაძრულია მიწის მასა და წაღებულია 500 მეტრიანი საავტომობილო მონაკვეთი. აღნიშნული ვითარება ეცნობა საქართველოს შსს სსდ - გურიის საგანგებო სიტუაციების მართვის მთავარი სამმართველოს ჩოხატაურის სახანძრო-სამაშველო განყოფილების უფროსს (შტაბის უფროსი), რომელმაც დაუყოვნებლივ შეკრიბა საგანგებო შტაბი. ყველა სამსახურის ხელმძღვანელ პირს მიეცა შესაბამისი დავალება. მიმდინარეობს საგანგებო ვითარების შეფასება.

საფრთხე ემუქრება სოფელ ქვაბღში არსებულ საჯარო სკოლას.

ადგილზე მობილიზებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის და პოლიციის ქვედანაყოფები, იწყებენ წინასწარ განსაზღვრული საევაკუაციო გზებით მოსახლეობის გამოყვანას უსაფრთხო ზონაში. სსმს-ის თანამშრომლები შესაბამის უწყებებთან ერთად უზრუნველყოფენ სტიქიის ზონიდან ევაკუირებული ადამიანების აღრიცხვას და სტიქიის ზონაში ჩარჩენილი ადამიანების იდენტიფიცირებას.

მობილიზება უკეთდება ავტოტექნიკას, როგორც საევაკუაციოდ, ასევე პირველადი სამუშაოების საწარმოებლად (მძიმე ტექნიკა). შეკრების ადგილზე ხორციელდება ევაკუირებულთა რეგისტრაცია/აღრიცხვა. მოსახლეობის ინფორმაციის საფუძველზე, იდენტიფიცირება უკეთდება სტიქიის ზონაში დარჩენილ ადამიანების სავარაუდო ადგილსამყოფელს.

პოლიციის თანამშრომლების მიერ, გადაკეტილია სტიქიის ზონაში შემავალი ყველა გზა და არეგულირებენ სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას, ხმამაღლა მოლაპარაკე ავტომანქანებით აწვდიან ინფორმაციას მოსახლეობას საევაკუაციო გზების შესახებ და პირველადი შეკრების ადგილის შესახებ.

მიმდინარეობს მოსახლეობის ევაკუაცია უსაფრთხო ადგილებში, საჭიროებიდან გამომდინარე უტარდებათ სამედიცინო დათვალიერება. წინასწარ განსაზღვრულ დროებით თავშესაფარში, მოსახლეობის გადაყვანა ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ გამოყოფილი სატრანსპორტო საშუალებებით, სადაც ხორციელდება მათი საკვებით, წყლით, პირველადი მოხმარების ნივთებით მომარაგება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურების მიერ. ადგილზე მობილიზებულია შესაბამისი სამსახურები სხვადასხვა საჭიროებების უზრუნველსაყოფად.

გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიური დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ ხორციელდება გეოლოგიურ პროცესებზე დაკვირვება და მონიტორინგი.

დღის განმავლობაში გრძელდება სტიქიის ზონაში ჩარჩენილი მოსახლეობის საძიებო-სამაშველო სამუშაოები და ხორციელდება საევაკუაციო ღონისძიებები.

მეორე დღე: მერიის მიერ შექმნილი საექსპერტო ჯგუფები იწყებენ საგანგებო სიტუაციის ზონაში არსებული შენობების ვიზუალურ შემოწმებას, პირველ რიგში ფასდება შენობების სტრუქტურული მდგომარეობა. შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ სასმელი წყლის, ენერგო მომარგების და გაზმომარაგების მდგომარეობის შეფასებას.

მესამე დღე: გეოლოგიური დეპარტამენტის დასკვნით, ჩამოსულია მეწყრის კრიტიკული მასა და მეწყრის განმეორების საფრთხე აღარ არსებობს. საგანგებო სიტუაციის ზონაში იწყება აღდგენითი სამუშაოები, ხორციელდება ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მობილიზება გაწმენდითი სამუშაოების უზრუნველსაყოფად. მერიის შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ, ჩახერგილი გზების გაწმენდას და ახორციელებენ სტიქიის ზონაში მოხვედრილი მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა/შეფასებას. საავარიო ჯგუფები უზრუნველყოფენ სასმელი წყლის, ენერგო მომარაგების და გაზმომარაგების აღდგენით სამუშაოებს.

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკის (მეწყერი) ფარგლებში გასატარებელი პრევენციული ღონისძიებები:

პრევენცია

პრევენციის უმთავრესი მიზანია და გულისხმობს მუნიციპალური ორგანოების, ორგანიზაციებისა და მოსახლეობის მონაწილეობით, მშვიდობიანობის და საომარი მოქმედებების დროს წარმოქმნილი საგანგებო სიტუაციებისაგან მოსახლეობის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების და გარემოს დაცვის მიზნით საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების მუდმივად ორგანიზებას.

საგანგებო სიტუაციების პრევენციული ღონისძიებების ორგანიზება ხორციელდება საგანგებო მართვის გეგმების საფუძველზე, საგანგებო სიტუაციების განვითარების სავარაუდო სცენარების მიხედვით.

არსებული ნორმატიული რეგულაციების საფუძველზე, საგანგებო მართვის გეგმა ითვალისწინებს სპეციალურ მოქმედებებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით, როგორებიც არის:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირება და ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაცვის მიზნით შენობის ადაპტირება (გასასვლელების, დროებითი თავშესაფრების, შენობიდან ევაკუირებული პირების უსაფრთხო განთავსების ადგილების მოწყობის თვალსაზრისით);
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, სხვა ზომების დაგეგმვა;
- წყალდიდობისას მოქმედებების ინსტრუქციის შემუშავება/კორექტირება/დახვეწა.

N	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განხორციელებაზე	ღონისძიების განხორციელებაში	განხორციელებ ის ვადები	შენიშვნა

		პასუხისმგებელი ორგანიზაცია	დამხმარე ორგანიზაცია		
1	მეწყერსაშიშ ზონებში არსებული ავარიული სახლების აღრიცხვა, მათი მდგომარეობის დადგენა.	მერია	გარემოს ეროვნული სააგენტო გეოლოგიური დეპარტამენტი	საანგარიშო წლის განმავლობაში	
2	კრიტიკულად დაზიანებული სახლებში (განსახლებას დაქვემდებარებული) მოსახლე პირებისათვის ალტერნატიული საცხოვრისით უზრუნველყოფა.	მერია	დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო.	საანგარიშო წლის განმავლობაში	
3	მეწყრული პროცესების საწინააღმდეგო ინფრასტრუქტურის მოწყობა	მერია	საჭიროების შემთხვევაში ტენდერით გამოვლენილი კომპანიები	საანგარიშო წლის განმავლობაში	
4	საგზაო ინფრასტრუქტურის (გზების, ხიდების) მოწყობა/განახლება	მერია		საანგარიშო წლის განმავლობაში	მომსახურების შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე
5	ფოთლოვან და წიწვოვან სახეობათა განაშენიანება მეწყერსაშიშ ზონებში	მერია	ეროვნული სატყეო სააგენტო	საანგარიშო წლის განმავლობაში	მომსახურების შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე
6	არსებული გრუნტის წყლებისათვის გამტარი არხების მოწყობა	მერია		საანგარიშო წლის განმავლობაში	მომსახურების შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე
7	მდინარეების და არხების კალაპოტების გაწმენდა და ნაპირდამცავის მოწყობა	მერია		საანგარიშო წლის განმავლობაში	მომსახურების შესყიდვა განხორციელდება სახელმწიფო შესყიდვების საფუძველზე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა					
1	შშმ პირებისთვის სათანადო ინსტრუქტაჟების ჩატარება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია (შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო)	შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
2	შშმ პირებისათვის დახმარების გაწევის მიზნით შესაბამისი პირების (შშმ პირებზე მზრუნველი) გადამზადება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია (შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო)	შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
3	შშმ პირებისათვის არსებული საევაკუაციო მექანიზმების გადამოწმება	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია (შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო)	ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების სამსახური	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	

მზადყოფნა

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკის (მეწყერი) ფარგლებში გასატარებელი მზადყოფნის ღონისძიებები:

N	ღონისძიების დასახელება	ღონისძიების განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია	ღონისძიების განხორციელებაში დამხმარე ორგანიზაცია	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	საჯარო სკოლების მოსწავლეებისათვის, პროფესიული სასწავლებელის სტუდენტებისათის და საფრთხის შემცველ ზონაში მცხოვრები მოსახლეობისათვის ცნობიერების ამაღლების მიზნით ტრენინგები /სწავლების ორგანიზება, მეწყრის და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.	მერიის ადმინისტრაციული სამსახური	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
2	საევაკუაციო წვრთნის ჩატარება სტიქიის ზონაში მცხოვრები მოსახლეობისათვის.	ჩოხატაურის მერია	შსს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	

3	მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მინიმუმ 5 სასტუმროსთან მოლაპარაკებას, საგანგებო სიტუაციების დროს ევაკუირებულ მოქალაქეთა განთავსებისათვის და ფასთა კვლევას მომდევნო წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას საორიენტაციო ხარჯების გათვალისწინებისათვის.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია		კალენდარული წლის სექტემბერი-ნოემბერი (მომდევნო წლის დასაგეგმად)	
4	მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფენ მოთხოვნის შემუშავებას და შესაბამისი ანგარიშგების შედგენას პირველადი მოხმარების საგნების შეძენისა და მზადყოფნისათვის(პრიორიტეტულია საძილე ტომრები, კარვები და მედიკამენტები)	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	წითელი ჯვარი	კალენდარული წლის ივნისი-სექტემბერი (მომდევნო წლის დასაგეგმად)	
5	მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახური და ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური უზრუნველყოფს, საგანგებო სიტუაციების დროს მოსახლეობის ევაკუაციისათვის საჭირო ტრანსპორტის მოძიებას მუნიციპალიტეტში არსებულ კერძო ან/და საჯარო პირებთან მოლაპარაკებების გზით, საამისოდ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი წლის ბიუჯეტში ფინანსების მობილიზებას.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	ტენდერით გამოვლენილი კომპანიები	კალენდარული წლის ივნისი-სექტემბერი (მომდევნო წლის დასაგეგმად)	
6	მერიის საფინანსო -საბიუჯეტო სამსახური და ადმინისტრაციული სამსახური უზრუნველყოფს, საგანგებო სიტუაციების დროს ევაკუირებული მოსახლეობის საკვებით უზრუნველყოფისათვის საჭირო მარაგების მოძიებას,	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერია	წითელი ჯვარი	კალენდარული წლის სექტემბერი-ნოემბერი (მომდევნო წლის დასაგეგმად)	

	მუნიციპალიტეტში არსებულ საკვების მიმწოდებელ დაწესებულებებთან წინასწარი მოლაპარაკების გზით, საამისოდ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უზრუნველყოფს შესაბამისი წლის ბიუჯეტში ფინანსების მობილიზებას.				
N	**შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა**				
1	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და მათთან მომუშავე პირებისთვის (განსაკუღებით სტიქიის ზონაში მცხოვრები) სათანადო სწავლების ჩატარება რეგულარული საინფორმაციო შეხვედრების ორგანიზება.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ს მერია (შშმ პირებთან მომუშავე საბჭო)	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
2	მოხალისეთა ჯგუფების შექმნა, რომლებიც დაეხმარებიან შშმ პირებს გადაადგილებაში საგანგებო სიტუაციების დროს.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტ ის მერია (შშმ პირებთან მომუშავე საბჭო)	საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	
3	წინასწარ განისაზღვროს საჭირო მედიკამენტები, სამედიცინო დახმარების საშუალებები და სპეციალური მოწყობილობები შშმ პირებისთვის, რომელთაც განსაკუთრებული საჭიროებები აქვთ.	ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ს მერია (შშმ პირებთან მომუშავე საბჭო)	წითელი ჯვარი	არანაკლებ წელიწადში ერთხელ	

რეაგირება

არსებული ინფორმაციის საფუძველზე, იგეგმება საგანგებო სიტუაციების შედეგების სალიკვიდაციო და სხვა გადაუდებელი ღონისძიებები, ხდება საჭირო საავარიო-სამაშველო ძალებისა და საშუალებების განსაზღვრა.

საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის უზრუნველყოფის ღონისძიებებია:

ა) განგაშის გამოცხადება და შეტყობინება;

ბ) საველე ოპერაციების ცენტრის გაშლა და საგანგებო რეაგირების ჯგუფების დაკომპლექტება;

გ) საგანგებო სიტუაციების ზონებიდან ინფორმაციის მიღება, გადამუშავება, საგანგებო ვითარების შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა;

დ) საგანგებო სიტუაციების ზონებში საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებისა და მათი შედეგების ლიკვიდაციის (საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების) განხორციელება;

ე) ოპერაციების კოორდინირება;

ვ) ლოჯისტიკური უზრუნველყოფა;
ზ) ბრძანებების გაცემა და მათი შესრულების კონტროლი;
თ) ინფორმაციის მართვა;
ი) მოთხოვნების დამუშავება ეროვნული დახმარების შესახებ;
კ) რესურსების მიღება და მართვა;
ლ) რეაგირების ძალების პერსონალის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა;
მ) ფინანსების მართვა;
ნ) დაზვერვითი ოპერაციების ჩატარება, შემფასებელი პერსონალის ან ჯგუფის მოქმედებაში მოყვანა და გეოგრაფიულ-ინფორმაციული სისტემების ამოქმედება (GIS);
დაუყოვნებლივ იწყება საავარიო-სამაშველო, ადამიანთა ძებნის, სამაშველო და სხვა გადაუდებელი სამუშაოების, სამედიცინო დახმარების, საევაკუაციო, გზების გაწმენდის ორგანიზება.
საგანგებო სიტუაციის ზონაში მოსახლეობის ევაკუაციის უზრუნველყოფის მიზნით იხსნება ევაკუირებულთა შემკრები, საშუალედო, მიმღები პუნქტები. შესაბამისად, ორგანიზება უკეთდება ევაკუირებულთა აღრიცხვის, სამედიცინო დახმარების, სურსათით, ცხოველის საკვებისა და პირველადი მოხმარების საგნებით, წყლის აუცილებელი მარაგით და საცხოვრებლით უზრუნველყოფას.
ორგანიზება უკეთდება მოსახლეობის სახანძრო, საინჟინრო, ქიმიური, რადიაციული, სამედიცინო, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური დაცვის ღონისძიებებს.

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკის (მეწყერი) ფარგლებში გასატარებელი რეაგირების ღონისძიებები:

N	გასატარებელი ღონისძიებები	პასუხისმგებელი პირი/ორგანიზაცია	ღონისძიების განხორციელებაში დამხმარე ორგანიზაცია	განხორციელების ვადები	შენიშვნა
1	საგანგებო მართვის შტაბის წევრების შეკრება	შტაბის უფროსი		,,სთ''+30 წთ	
2	საგანგებო სიტუაციის ზონაში სახანძრო-სამაშველო ჯგუფების გაგზავნა	სსმს სამსახურის სტრუქტურული ერთეული		,,სთ''+5 წთ	
3	საგანგებო სიტუაციის ზონიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ვითარების შეფასება/ მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე დავალებების გაცემა	საგანგებო შტაბი		,,სთ''+10 წთ	
4	სამძებრო-სამაშველო (და საჭიროების შემთხვევაში) ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება	საგანგებო შტაბი		,,სთ''+15 წთ	
5	საევაკუაციო ქმედებებში ჩართული პერსონალის, მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების	საგანგებო შტაბი		,,სთ''+20 წთ	

	ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით უზრუნველყოფა				
6	მოსახლეობისა და ადგილზე მყოფი სხვა პირების ევაკუაცია საგანგებო სიტუაციის განვითარების ადგილიდან	საგანგებო შტაბი		,,სთ''+30 წთ	
7	მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაცია უსაფრთხო ზონებში, შესაბამისი დაცვის ორგანიზება.	საგანგებო შტაბი		,,სთ''+40 წთ	
8	მართვის კავშირგაბმულობის და შეტყობინების სისტემების მუდმივი მზადყოფნის უზრუნველყოფის მიზნით ინფორმაციის დაზუსტება და შესაბამისი ზომების მიღება	საგანგებო შტაბი		,,სთ''+1სთ ყოველ საათში განმეორებით	
9	საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის, მათ შორის სატრანსპორტო მიმოსვლის რეგულირების მიზნით გადაწყვეტილებების მიღება და განკარგულების გაცემა.			,,სთ''+1სთ და 30 წთ	
10	საგანგებო სიტუაციების ზონიდან განახლებული ინფორმაციის საფუძველზე საგანგებო ვითარების შეფასება და მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე დავალებების გაცემა	საგანგებო შტაბი		,,სთ''+2სთ	
11	დახმარების საჭიროების შემთხვევაში წინადადებების მომზადება და ხელმძღვანელობის წინაშე დასახვა	საგანგებო შტაბი			
12	ხელმძღვანელობისათვის ანგარიშის მომზადება (დოკუმენტირება) და გაგზავნა.	საგანგებო შტაბი		,,სთ''+6სთ და შემდგომ ყოველ ექვს საათში	
შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში უზრუნველყოფა					
1	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის და მათი დამხმარე პერსონალისათვის სათანადო დახმარების აღმოჩენა	საგანგებო შტაბი შშმ პირებთან მომუშავე საბჭო		,,სთ''+5 წთ	დრო მითითებულია პირობითად

აღდგენა

წინამდებარე საგანგებო მართვის გეგმის მიხედვით გამოვლენილი რისკი N2-ის (მეწყერი) ფარგლებში გასატარებელი აღდგენის ღონისძიებები:

1. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური და მერიის შესაბამისი სამსახური არსებობის შემთხვევაში ამოწმებს რისკის ზონაში არსებული საცხოვრებელ და დამხმარე ნაგებობებს, მათი დაზიანების ხარისხს კომპეტენციის ფარგლებში.
2. ხორციელდება სტიქიის ზონის მონიტორინგი.
3. ხორციელდება საკომუნიკაციო ქსელების მონიტორინგი.
4. ხორციელდება დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა განახლება.
5. ხორციელდება ზარალის დათვლა და შესაბამისი სალიკვიდაციო სამუშაოები.
6. მას შემდეგ რაც მოხდება სტიქიის შედეგად დაზარალებული ადგილების შემოწმება და კომუნიკაციების აღდგენა, ასევე შენობების სასიცოცხლოდ ვარგისიანობის შემოწმება.